

## კოლეჯი შპს ცხუმ-ეგრისი

### 1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

<b>პროგრამის სახელწოდება:</b> შიდა ელექტროგაყვანილობის მონტაჟი
<b>პროგრამის სახე:</b> <input type="checkbox"/> პროფესიული მომზადება <input type="checkbox"/> პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: <input type="checkbox"/> 2 <input checked="" type="checkbox"/> 3 <input type="checkbox"/> 4 <input type="checkbox"/> 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 10 კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 18 საათი
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური -10 მაქსიმალური - 15
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება
პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოს პირი, რომელსაც ექნება შენობის ელექტრიკოსის ცოდნა / უნარები .

სწავლის შედეგები (აღინიშნება ცოდნით და უნარით):

**კურსდამთავრებულს შეუძლია:**

1. წრედის დიაგრამის მიხედვით მასალების შერჩევა;
2. ელექტრული წრედების დაცვის მეთოდების და პროცედურების გამოყენება;
3. განათების და ძალის წრედების მონტაჟი და შემოწმება საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში;
4. საშინაო და მცირე საწარმოო გარემოში ელექტრული მონტაჟის რეგულაციების აღწერა;
5. გამტარების, იზოლატორების და მაგნიტური მასალების აღწერა;
6. წარმოების, გადაცემისა და განაწილების პრინციპების აღწერა;
7. ელექტრული საფრთხეების და კანონმდებლობის აღწერა;
8. ცვლადი დენის მანქანების მუშაობის აღწერა;
9. სამუშაო გარემოში საფრთხეებს აღწერა;
10. რისკების შეფასება და შემთხვევით და საგანგებო სიტუაციებში მოქმედების განმარტება.

**პროგრამის შემუშავების საფუძველი:**

შპს ცხუმ-ვერისის დირექტორის მიერ 2019 წლის 2 მაისის №01-25 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

**პროგრამის მოკლე აღწერა:**

პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს მინიმუმ საბაზო განათლება და სურვილი აქვს მოკლე დროში შეიძინოს შენობის ელექტრიკოსის ( შიდა ელექტროგაყვანილობის მონტაჟი ) ცოდნა / უნარები პროგრამის ფარგლებში;

მომზადების პროგრამის მოცულობა 180 საათია, შეფასებას დაეთმობა 8 საათი. პროგრამა განხორციელდება 10 კვირის განმავლობაში კოლეჯის A/C გარემოში. კვირეული დატვირთვა 18 ს.

პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების შეფასება განხორციელდება გამოკითხვით და პრაქტიკული დავალების შესრულებისას პროცესზე დაკვირვებით. შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა;

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, მსმენელი მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ

სერტიფიკატს 'დანართით.

---